„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"
რექტორის
2024 წლის 25 ივნისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის 80/2024 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 8 აგვისტო
2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: 1. ასოცირებული პროფესორი ია აფთარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე) 2. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი ნატო ასათიანი (კომისიის მდივანი) 4. პროფესორი მანანა გაბაშვილი (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), პროფესორი დავით ძიძიგური (თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი).

დღის წესრიგი:

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, რექტორის 2024 წლის 25 ივნისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანებების საფუძველზე, ასოცირებული პორფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.
2. კომისიის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა ია აფთარაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა - 5. მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, სულ 5 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კენჭისყრის დასრულების შემდეგ

კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი ნატო ასათიანი და პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი.

გამოყენებული ბიულეტენია - 5, გაფუჭებული -0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე:

- ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მანანა მელიქიშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 5 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.
- ასისტენტ - პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე სოფიო თევდორაძის კანდიდატურის ფარული კენჭისყრის შედეგები ასე განაწილდა: 5 - მომხრე, 0 - წინააღმდეგი.

3. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე შემოიტანა ერთმა კანდიდატმა- მანანა მელიქიშვილმა, ხოლო ასისტენტ-პროფესორის საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა ასევე ერთმა კანდიდატმა- სოფიო თევდორაძემ.
საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

შეფასების პირველ ეტაპზე, მანანა მელიქიშვილმა I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

მანანა მელიქიშვილი ამ დრომდე თსუ-ში იკავებდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობას. მას აქვს არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ ადმინისტრაციულ პოზიციაზე (ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი) მუშაობის გამოცდილება. ამავდროულად ის არის მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის კონსულტანტი და არაერთი მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. 6 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟის კვალდაკვალ, მის მიერ წაკითხული ლექციები და სემინარები მოიცავს შემდეგ საგნებს:

1) ადამიანის განვითარება 1;
2) ადამიანის განვითარება 2;
3) სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია;
4) ძალადობა ბავშვების მიმართ;
5) კონსტრუქციული ურთიერთობის საფუძვლები საკლასო ოთახში;
6) ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და მოზარდების დახმარების მეთოდები;
7) მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება (მაგისტრატურა);
8) ჯგუფური მუშაობის მეთოდები ბავშვებთან (მაგისტრატურა);
9) სწავლებისა და შეფასების მეთოდები უმაღლეს განათლებაში ( დოქტორანტურა).

მანანა მელიქიშვილის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენილ კვლევით ინტერესებში მკაფიოდ იკვეთება ძალადობის კონსტრუქტისა და მასზე მოქმედი ფაქტორების, ფსიქოლოგიური მექანიზმების საკითხები.შეფასების პირველ ეტაპზე, სოფიო თევდორაძემ I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

სოფიო თევდორაძე ამ დრომდე იკავებდა ასისტენტ პროფესორის თანამდებობას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში. მას ასევე აქვს სხვა უნივერსიტეტებში სწავლების გამოცდილება. ამავდროულად მას აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგად მუშაობის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. 6 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟის კვალდაკვალ, მის მიერ წაკითხული ლექციები და სემინარები ითვლის შემდეგ საგნებს:

1. სპეციალური პრაქტიკული კურსი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში;
2. ადამიანის განვითარება 1, 2 ( სემინარები);
3. პრაქტიკა განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში;
4. ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

სოფიო თევდორაძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში და გასაუბრების ეტაპზე გამოვლენილ კვლევით ინტერესებში მკაფიოდ იკვეთება მასწავლებლის თვითეფექტიანობასა და აკადემიური სტრესთან დაკავშირებული საკითხები.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კანდიდატები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პედაგოგიური და პროფესიული უნარები
- გადმოცემისა და მეტყველების კულტურა
- პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფილთან

მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა:

კომისია შეჯერდა, რომ კონკურსის შედეგები მართლზომიერია.

გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა ორივე კანდიდატის პროფესიონალიზმი, პედაგოგიური და პროფესიული უნარები, გადმოცემისა და მეტყველების კულტურა და მათი შესაბამისობა ინსტიტუტის მისიასა და მიზნებთან.

მანანა მელიქიშვილის პრაქტიკული და კვლევითი თანამშრომლობა ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრთან ძალადობის პრევენციისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით გააძლიერებს განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, შექმნის შესაძლებლობას დაიგეგმოს ახალი კვლევები და სამეცნიერო მეთოდური საქმიანობა.

სოფიო თევდორაძის პრაქტიკული კურსები სკოლის ფსიქოლოგიის სამსახურის თვალსაზრისით ძალიან ღირებული გზაა არის სტუდენტებისათვის არა მხოლოოდ მდიდარი პრაქტიკული ველის შექმნის მიზნით, არამედ გამოწვევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და სამეცნიერო კვლევის განხორციელებისათვის.

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ - კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს მანანა მელიქიშვილი.
2. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს სოფიო თევდორაძე.

3. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ-გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

1. აფთარაშვილი ია - ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - კომისიის თავმჯდომარე;

2. ქიტიაშვილი ანასტასია  პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - კომისიის მოადგილე;

3. ასათიანი ნატა - ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - კომისიის მდივანი;

4. გაბაშვილი მანანა - პროფესორი, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამისა და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA);

5. ძიძიგური დავითი, ფსიქოლოგიის დოქტორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრის დირექტორი, მოწვეული პროფესორი;